

ვენჩერული კაპიტალის საინვესტიციო პროგრამა II (VCIP II) მეორე პაკეტი

ადგილმდებარეობა:
რეგიონალური

პროექტის ნომერი:
51558

ბიზნეს სექტორი:
საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

შეტყობინების ტიპი:
კონფიდენციალური

გარემოსდაცვითი კატეგორია:
FW

დირექტორთა საბჭოს მიერ განხილვის თარიღი:
2019 წლის 27 ნოემბერი

სტატუსი:
გაიარა საბოლოო განხილვა, საბჭოს მიერ დამტკიცების პროცესში

პროექტის შემაჯამებელი დოკუმენტის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების თარიღი:
2019 წლის 25 ოქტომბერი

პროექტის აღწერა

EBRD-ი, ვენჩერული კაპიტალის საინვესტიციო პროგრამა II-ის მეშვეობით (VCIP II, რომელიც EBRD-ის მიმდინარე პროგრამის, VCIP-ის გაგრძელებაა და 100 მილიონი ევროს ღირებულების სპეციალურ ჩარჩო მექანიზმს წარმოადგენს) ახორციელებს ინვესტირებას ტექნოლოგიურ კომპანიებში ადრეულ და ზრდის ეტაპებზე წილობრივი და წილებთან დაკავშირებული ინსტრუმენტების გამოყენებით (ინვესტიციების მოცულობა 15 მილიონ ევრომდე) ვენჩერული კაპიტალის სფეროში გამოცდილების მქონე თანაინვესტორებთან ერთად იმ ქვეყნებში, სადაც EBRD-ი ახორციელებს საქმიანობას. ინვესტიციები მიმართულია

ინოვაციური და სწრაფად მზარდი მცირე და საშუალო კომპანიებისკენ, რომლებიც უმეტესწილად სათანადოდ არ არიან უზრუნველყოფილი შეზღუდული ვენჩერული კაპიტალის საზოგადოების მომსახურებით, რათა ხელი შეუწყონ ბაზარზე ვენჩერული კაპიტალის წილების არსებული ხარვეზების შევსებას. იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ინვესტირების დონე და დაკმაყოფილდეს მილსადენის მიმდინარე კონვერსიის მოთხოვნები, აუცილებელია გამოყოფილი იქნეს დამატებითი სახსრები VCIP II-ის საინვესტიციო პერიოდის დარჩენილი მონაკვეთის განმავლობაში.

პროექტის მიზნები

i) VCIP-ი ბანკს აძლევს შესაძლებლობას გააღრმავოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა რეგიონში, განავითაროს ტექნოლოგიური ეკოსისტემები და მხარი დაუჭიროს ინოვაციას; ii) ბანკი, VCIP-ის მეშვეობით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვენჩერული კაპიტალის დაფინანსების ხარვეზების დაძლევაში, რომლებიც რეგიონში არსებობს; iii) VCIP-ი ბანკს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს პორტფოლიოს მიდგომა საინვესტიციო შესაძლებლობებთან მიმართებაში, რომლებსაც უფრო მაღალი რისკი/ მაღალი უკუგება გააჩნიათ.

გარდამავალი პერიოდის ზემოქმედება

მოსალოდნელია, რომ VCIP II მექანიზმი ხელს შეუწყობს გარდამავალი ხარისხის კონკურენტუნარიანობას და მდგრადობას, რამდენადაც იგი მხარს დაუჭერს ახლახან შექმნილ ძალზე ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ კომპანიებს, ასევე ხელს შეუწყობს ვენჩერული კაპიტალის უკეთეს მისაწვდომობას, რომელიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია EBRD-ის რეგიონში. VCIP II მექანიზმი დაფუძნებული იქნება პირველი VCIP I მექანიზმის წარმატებაზე და EBRD-ის რეგიონში უზრუნველყოფს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერას, EBRD-ის ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინიციატივის, კერძოდ "მე-3 ნაკადი - მცირე ტექნოლოგიური კომპანიების" შესაბამისად.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე.

EBRD-ის დაფინანსება

50,000,000.00 ევრო

პროექტის მთლიანი ღირებულება

50,000,000.00 ევრო

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები

თავად მექანიზმი არ არის კლასიფიცირებული ბანკის 2014 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტით, თუმცა თითოეული ქვეპროექტის კლასიფიკაცია მოხდება ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე და დაექვემდებარება ინდივიდუალურ გარემოსდაცვით და სოციალურ ტექნიკურ კვლევას (ESDD) და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის (GET) შემოწმებას, კონკრეტული პროექტისა და კლიენტის სპეციფიკიდან გამომდინარე. ქვეპროექტის კატეგორიის მიხედვით, შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევით (ESDD) შემოწმდება თითოეული ქვეპროექტის სტრუქტურის შესაბამისობა ბანკის ფუნქციურ მოთხოვნებთან.

ტექნიკური თანამშრომლობა

არ ხორციელდება.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია:

ბახრომ იბრაგიმოვი (Bakhrom Ibragimov) 02073386000

პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობები

პროექტში მონაწილეობის მისაღებად და შესყიდვებთან დაკავშირებით დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფოს სექტორის პროექტებისთვის ესტუმრეთ [EBRD-ის შესყიდვებს](#):
ტელეფონი: +44 20 7338 6794
ელექტრონული ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი ინფორმაცია

ინფორმაცია EBRD-ის პროექტების შესახებ, რომლებიც შესყიდვებთან არ არის დაკავშირებული:

ტელეფონი: +44 20 7338 7168
ელექტრონული ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკა (PIP)

ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკა განსაზღვრავს, თუ როგორ უზრუნველყოფს EBRD-ი ინფორმაციის გასაჯაროებას და მართავს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ხელი შეუწყოს თავისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და უკეთეს გააზრებას. იმისათვის, რომ გაიგოთ, როგორ მოითხოვოთ საჯარო სექტორის საბჭოს ანგარიში, ეწვიეთ ქვემოთ მოცემული საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის გვერდს.

[ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკის ტექსტი](#)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM) წარმოადგენს EBRD-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმს. იგი იძლევა EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების მიერ შემოტანილი საჩივრების დამოუკიდებლად განხილვის შესაძლებლობას, რომლებმაც სავარაუდოდ გამოიწვიეს ან შეიძლება გამოიწვიონ ეკოლოგიური ან/და სოციალური ზიანი.

ინფორმაცია საჩივრის წარდგენის შესახებ იხილეთ [პროექტის გასაჩივრების მექანიზმის](#) გვერდზე. [პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების](#) შესაბამისად საჩივრების წარდგენასთან და მათ რეგისტრაციასა და დასაშვებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი კითხვის არსებობის შემთხვევაში მიმართეთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერს (pcm@ebrd.com).